



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული
საბაკალავროსამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

11.07.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

01.08.2018

თბილისი

2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური (საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	განათლების მაგისტრი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/Subject Teacher/Subject Group Teacher of General Education Primary School – 030202.
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი პეტროს პაშიარდისი, ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, კვიპროსის ღია უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	უნივერსიტეტი - პროფესორი, დოქტორი სტეფან ბრაუკმანი, ხარისხის განვითარებისა და ხარისხის მართვის პროფესორი კლაგენფურტის ალპენ-ადრია- უნივერსიტეტი, ავსტრია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გოდერძი ბუჩაშვილი

	პროგრესული საგარეო ურთიერთობათა საკითხებში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქ-ნ ეკატერინე კვირიკაშვილი (დამსაქმებელი ექსპერტი) საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქ-ნ მარიკა გარსევანიშვილი (სტუდენტი ექსპერტი) საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

როგორც თვითშეფასების დასკვნაშია აღნიშნული, ეს არის დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების პროგრამა (I-VI კლასები), რომლის ძირითადი მიზანია დაწყებითი სკოლის პედაგოგთა მომზადება, რათა სტუდენტები უზრუნველყოს პედაგოგიური დისციპლინისა და საგნობრივ-მეთოდური ციკლის დისციპლინების შესაბამისი ცოდნით მიმდინარე კვლევისა და პრაქტიკის შესაბამისად. პროგრამა, რომელიც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტში (საგანმანათლებლო მეცნიერებების დეპარტამენტი) შედის, მოიცავს ყველა იმ საგნის შინაარსს, რომელიც შეესაბამება მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ პედაგოგთა პროფესიულ და საგნებთან დაკავშირებულ სტანდარტებს, და ასევე უმაღლესი განათლების დარგობრივი მაჩვენებელს (მასწავლებლის განათლება).

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს დაწყებითი კლასების საგნის / საგნობრივი ჯგუფის პედაგოგების მომზადებას, რომლებიც ფლობენ I-IV კლასების ქართულის, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების არსებულ საგნობრივ კომპეტენციებს და, გარდა ამისა, ერთ, ორ ან ყველა ჩამოთვლილ საგანში-ქართული, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში V-V კლასებისათვის. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტი:

- შეიძენს ცოდნას დაწყებითი საფეხურის სწავლების-საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია დარგობრივ დოკუმენტში მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტებისა და მოთხოვნების შესახებ;
- შეიძენს საგნობრივ ცოდნას, რომელიც დეტალურად არის აღწერილი პირველადი განათლების ეროვნულ კურიკულუმში, მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- შეძლებს წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარებას შესაბამისი საგნის პედაგოგიურ-თეორიული ცოდნის ეფექტური ინტეგრაციის საშუალებით.

საბოლოოდ, პროგრამა უზრუნველყოფს მომავალი საყოველთაო ღირებულებების დამკვიდრებას, ინტელექტუალურ, მორალურ და კულტურულ განვითარებას.

ზოგადად, პროგრამის სტრუქტურა ადეკვატურია თავისი მისიის შესასრულებლად.

ზოგადად, შეფასების განმახორციელებელმა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია უმაღლესი ხარისხის სტუდენტური მომსახურებები, რომლებიც ძალიან კარგად არის ინსტიტუციონალიზებული და სტრუქტურირებულია შემოქმედებით სასწავლო გარემოში. გუნდს უნივერსიტეტში დახვდა ატმოსფერო, რომელშიც უნივერსიტეტი და თვითონ პროგრამა სტუდენტებზე ორიენტირებული იყო და მოსწავლეთა მხარდაჭერის სამსახურები კარგად მუშაობს. გარდა ამისა, არსებობს კარგად ფუნქციონირებადი პროფესიული სწავლების საზოგადოება, რომელიც შეიქმნა სპეციალურად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, რომლებიც კარგად არიან გათვითცნობიერებულები თავიანთ

საგნებში და თავიანთი სფეროს პროფესიონალები არიან. უფრო მეტიც, გუნდის განცდა იყო, რომ ფაკულტეტი სთავაზობს პროფესიულ შესაძლებლობებს და მოტივაციას პუბლიკაციების მოსამზადებლად. თუმცა, უფრო მეტი ინტერნაციონალიზაციაა საჭირო, რაც კარგად ჩანს ქვევით ჩვენს რჩევებში.

მატერიალური რესურსები ადეკვატურია უნივერსიტეტისა და პროგრამის მისიის განხორციელებისათვის, თუმცა ბიბლიოთეკას რესურსებს, მეტი ზრუნვა სჭირდება, რაც კარგად ჩანს, ჩვენს რჩევებში ქვემოთ. საბოლოოდ, ჩანს, ძლიერი მხარდაჭერაა დაინტერესებული პირთა მხრიდან, როგორც შიდა, ასევე გარე და სხვა დაინტერესებული მხარეებიდანაც.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა მოამზადა შემდეგი შეფასების ანგარიში, გაითვალისწინა რა:

1. თვითშემსწავლელი "დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა" კარგად იყო დაწერილი, მაგრამ არა იმდენად დეტალურად, როგორც ჩვენ გვსურდა.
2. ჯგუფის მიერ 2018 წლის 12 ივლისს ადგილზე ვიზიტისას მოპოვებული ინფორმაცია. ამ ვიზიტის დროს, შემფასებელი ჯგუფი შეხვდა სულ 42 პირს (უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროგრამის ხელმძღვანელებს, დამსაქმებლებსა და სტაჟირების ხელმძღვანელებს, აკადემიურ ფაკულტეტს, მოწვეულ ფაკულტეტს, თვითშეფასების ჯგუფს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს). ჯგუფი აგრეთვე ეწვია ბიბლიოთეკას, საკლასო ოთახებს, კომპიუტერულ აუდიტორიებსა და უნივერსიტეტის სხვა ობიექტებს.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
 - პროგრამის მიზნების განხორციელებაში წვლილი შეიტანა როგორც აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა
 - უნდა გამახვილდეს ყურადღება და უნდა გაძლიერდეს პრაქტიკის გაუმჯობესებაზე.
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
 - პროგრამის შინაარსი საფუძვლიანად არის განხილული.
 - პროგრამაზე არსებობს რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული მცირე დისბალანსი, სტუდენტებისთვის შეთავაზებული კვლევით კურსებში.
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

- სტუდენტებს სთავაზობენ კვლევის სამოქმედო კომპონენტს, რაც კარგია, მაგრამ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კვლევის სხვა ფორმებს, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი კომენტარის მიხედვით.
 - სტუდენტებს ერთმანეთთან და ასევე მასწავლებლებთან კარგი ურთიერთობები აქვთ, ისინი არიან დადებით და მხარდამჭერ გარემოში, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულია.
 - სტუდენტებთან კომუნიკაცია ეფექტურია და მოქმედებს სხვადასხვა დონეზე.
- **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა სათანადოა და შეესაბამება სტუდენტის უკუკავშირს, მაგრამ გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს უკუკავშირის კითხვარების შედგენას, ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი რჩევის თანახმად.
 - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი კარგია, თუმცა უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა მეტი დოქტორის ხარისხის მქონე ადამიანი იყოს დასაქმებული.
 - მატერიალური რესურსები, როგორცაა ბიბლიოთეკა, კარგ დონეზეა, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას, ჩვენც მიერ ქვემოთ მოცემული რჩევების თანახმად.
 - ჩანს კარგად მუშაობს უკუკავშირის მექანიზმები თავად სტუდენტებს შორის, ისევე როგორც სტუდენტებსა და ფაკულტეტს შორის. სტუდენტებს სწრაფად და დეტალურად აცნობენ გამოხმაურებებს მათი აკადემიური მოსწრების თაობაზე.
- **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
- სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციები ადექვატურია. თუმცა, გუნდს ჰქონდა განცდა, რომ ფაკულტეტის თანაფარდობა დოქტორანტურის ხარისხის მქონე სპეციალისტებისა უნდა გაიზარდოს, ზემოთ წინა პუნქტის თანახმად.
 - თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალის დაწინაურების, აყვანისა და დანიშვნის პოლიტიკა. შესაძლოა მეტმა საერთაშორისო ჩართულობამ ყველა ამ პროცესში უზრუნველყოს პერსონალის უფრო ობიექტურად და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე შერჩევა.
- **რეკომენდაციები**
- რეკომენდებულია ფაკულტეტისთვის ინგლისურ ენაზე აკადემიური წერის ტრენინგების შეთავაზება, როგორც ზეპირი ისე წერითი ფორმით (აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალი), რათა ხელი შეეწყოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების მოცულობისა და მონაწილეობის გაზრდას საერთაშორისო კონფერენციებში, სადაც ექსპერტთა მიმოხილვის სისტემა მოქმედებს. უნივერსიტეტისა და პროგრამის საერთაშორისო პროფილის გასაძლიერებლად კეთილგონივრული იქნება, ამ რეკომენდაციის გათვალისწინება. ამგვარად, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური ფაკულტეტის საერთაშორისო პუბლიკაციებს. ამასთანავე, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოწვეულ პერსონალზე, მათი წახალისების მიზნით, რათა მათ მოიპოვონ და/ან დაასრულონ დოქტორანტურა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გაუმჯობესების მიზნით.

- ასევე რეკომენდირებულია, რომ ყველა ძირითადი მონაცემთა ბაზა და ბიბლიოთეკის რესურსი განახლდეს უფრო ხანგრძლივი დროით და გაიზარდოს მათი მრავალფეროვნება, რაც გულისხმობს, რომ მეტი წამყვანი საგამომცემლო სახლი დაემატოს, რომლებიც ზოგადი განათლების სფეროში აქვეყნებენ სამეცნიერო ჟურნალებს, მაგალითად ტეილორი და ფრენსის, რუტლეჯი და ა.შ. პროგრამის ფაკულტეტის პედაგოგიური შემადგენლობის მიერ უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო, რეფერირებული პუბლიკაციებისათვის ძალისხმევა აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკის რესურსებით და ამ მიზნის მისაღწევად საჭირო დახმარებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

როგორც ჩანს, საერთო ჯამში, სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და პროფესიული განვითარების დაგეგმვასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, იგრძნობა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ შეზღუდული ინგლისურენოვანი გამოცდილება და ეს შეიძლება იყოს ხელის შეშლელი ფაქტორი საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილების დანერგვისას, აგრეთვე მათი საგანმანათლებლო გამოცდილების გასაღრმავებლად უცხოელ მეცნიერთა ლექციების საშუალებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ გირჩევთ, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ მეტი მხარდაჭერით, რათა გაუმჯობესდეს მათი ინგლისური ენის, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ცოდნა.

უფრო მეტიც, ჩვენი რჩევაა, რომ მაჩვენებელზე დაფუძნებული კომპიუტერიზებული სისტემის დანერგვა, როგორიცაა KPI სისტემა, ბევრად უფრო გაუადვილებს უნივერსიტეტსა და პროგრამას, შეინარჩუნოს ფაკულტეტის პროდუქტიულობა მეცნიერება მეცნიერებისათვის მიმართებით, მეცნიერება პროფესიონალებისთვის ან მეცნიერება საზოგადოებისთვის. ამ თვალსაზრისით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას პროგრამის პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს დაწესებულებაში არსებულ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან.

უფრო მეტიც, კვლევითი მეთოდები მეტად დაიხვეწება გაძლიერებით. ამგვარად, გონივრული იქნებოდა პროგრამაზე ადრიადად ისწავლებოდეს კვლევითი მეთოდების კურსი, რათა სტუდენტები სათანადოდ მომზადებულნი იყვნენ არა მარტო თავიანთი სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად, არამედ შეძლონ რეფერატებისა და დავალებების დაწერა მეტად სამეცნიერო ენით, რადგანაც მათ ადრიდანვე ეცოდინებათ კვლევის ჩატარება.

ასევე, კარგი იქნება, თუკი სემინარები და ლექციები სასწავლო კვირის განმავლობაში ცხრილით გათვალისწინებულ სილაბუსში დაიგეგმება, და იქნება უფრო მეტად სტუდენტზე ორიენტირებული.

ამასთანავე, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/აკადემიური მოსწრებისა და გადაცემადი

უნარ-ჩვევების განვითარებას ან/და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. ამიტომ, სასურველი იქნებოდა პედაგოგიური პრაქტიკის მხარდაჭერა და გაძლიერება. რაც მიიღწევა თუკი, მაგალითად, მომხსენებლად მოწვეული იქნებიან დირექტორები/პედაგოგები პროგრამის პირველი სემესტრიდან. ხოლო შემდგომ, უნივერსიტეტმა ნათლად უნდა განსაზღვროს შედეგიანი მასწავლებლის პრინციპები, რომლის საფუძველზეც სასწავლებელი აირჩევს წამყვან პედაგოგს პრაქტიკის კომპონენტისთვის.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ყველა პროგრამაზე ჯგუფებს აქვთ სოციალური ქსელების გვერდები და სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას. პროგრამისთვის გონივრული იქნებოდა, შეემოწმებინა სოციალური ქსელების გვერდის გამოყენების მიზანშეწონილობა, კომუნიკაციის / ინფორმაციის გაცვლის საშუალებად (საავტორო უფლებების საკითხები და ა.შ.).

და ბოლოს, პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და გაზრდის მიზნით, უკეთესი იქნება, თუ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის სიხშირე გაიზრდება. ასევე კარგი იქნება, განისაზღვროს კვლევის რესპონდენტთა სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. უფრო მეტიც, სტუდენტების ცვალებადი საჭიროებების გათვალისწინებით, სასურველია, რომ პერიოდულად შეიცვალოს კვლევის შეკითხვები, რათა შესაბამისობაში იყოს პროგრამის განვითარებასთან, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს პროგრამა ახალია.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არსებობს საჭიროებების შეფასების კვლევა, რომელიც უმთავრესია სკოლის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პედაგოგიური პრიორიტეტებში გარდა ამისა, შესრულების მოთხოვნები და შეფასების სტანდარტები გამჭვირვალე და ცნობილია სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ამასთანავე, შესრულების მოლოდინები და შესრულების შედეგები რეგულარულად განიხილება სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. და ბოლოს, უნივერსიტეტის კურიკულუმი ითვალისწინებს სტუდენტების სოციალურ, კულტურულ და შემეცნებით მოთხოვნებს და გამოხატავს სულ მცირე ერთ ინტერდისციპლინარულ ფოკუსს; აგრეთვე, ხდება პროგრამების შეთანხმებული პრიორიტეტული სფეროების ხშირი საგნობრივ-სპეციფიკური ცვლილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები შიდა და გარე მონაწილე მხარეებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის შიდა კურიკულუმი აღწერს პროფესიული და ინტერდისციპლინარული კომპეტენციების განვითარებას. უფრო მეტიც, კონკრეტული საგნებისთვის არსებობს ჩარჩო კურიკულუმების კომპეტენციაზე-ორიენტირებული კონკრეტიზაცია. მასწავლებლებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები შეფასების კრიტერიუმებისა და შედარებითი კვლევების, საკლასო მუშაობისა და გამოცდების შედეგებზე სპეციალისტთა კონფერენციებზე. გაკვეთილების შინაარსი და მეთოდები კოორდინირებულია საგნობრივ ნაწილში. ამის შემდგომ, კვლევის შედეგები სწავლის შედეგებზე, შედარებით მუშაობაზე, სწავლის წარმატების ინსპექტირება და აუდიტი გათვალისწინებულია პროგრამის შემდგომ და სამომავლო ცვლილებებში. პროგრამას გააჩნია კურიკულუმის რუკა და შეფასების გეგმა, სადაც ისინი აღწერენ, თუ როგორ აპირებენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები შიდა და გარე მონაწილე მხარეებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
---	---	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. ინტეგრირებული საბაკალავრო-მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „პირველადი განათლება“ სტუდენტს შეუძლია გახდეს ის პირი, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი ან ექვივალენტური განათლება შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციით და რომელმაც ჩააბარა ეროვნული გამოცდები. საერთაშორისო სტუდენტები პროგრამაში შეიძლება ჩაირიცხოთ საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების ვადები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია ყოველწლიურად განთავსდება ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. ზემოთ აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების ვადები შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. გარდა ამისა, პედაგოგების სასწავლო გეგმა უნივერსიტეტის შიდა კურიკულუმს ეხება, ხოლო კურიკულუმი უნივერსიტეტის ფარგლებში ღიაა და ცნობილია საზოგადოებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა", შეიცავს ყველა იმ საგნის შინაარსს, რომელიც შეესაბამება მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ პედაგოგთა პროფესიულ და საგნებთან დაკავშირებულ სტანდარტებს, და ასევე . უმაღლესი განათლების დარგობრივი მაჩვენებელს (მასწავლებლის განათლება). პროგრამა დაგეგმილია 10 სემესტრით და წარმოდგენილია შემდეგი მოდულებით: მიმართულების სავალდებულო დისციპლინები - 25 კრედიტი,

პედაგოგიური დისციპლინების სავალდებულო მოდული - 60 კრედიტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო / არჩევითი მოდული - 60/10 კრედიტი, მათემატიკის დისციპლინების სავალდებულო / არჩევითი მოდული - 35/10 კრედიტი, საბუნებისმეტყველო დისციპლინების სავალდებულო / არჩევითი მოდული - 10/10 კრედიტი, საჯარო მეცნიერებების სავალდებულო მოდული - 20 კრედიტი, სავალდებულო პედაგოგიური პრაქტიკა - 30 კრედიტი- 5(VI), 10(VII), 10(VIII), 5(X), სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი- 5(IX), 25(X); არჩევითი დისციპლინები - 20 კრედიტი- 10(VIII), 10(IX) პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიაროს ინტენსიური კურსები შემდეგ ერთ (სავალდებულო, მისი არჩევანის თანახმად), ორ ან სამ საგანში (მისი არჩევანით) (10 კრედიტი თითოეულისთვის): ქართული ენა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები I-IV და V-VI კლასებისთვის სამივე დისციპლინაში წარმოდგენილია VIII-IX სემესტრში . შესაბამისად, კურსდამთავრებულს ექნება I-IV კლასების სამი საგნის სწავლების კომპეტენცია, ხოლო სავალდებულოდ, მინიმუმ ერთი საგანი (ქართული, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) V-VI კლასებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომლისთვისაც სტუდენტს მოეთხოვება თეორიული მასალის, პრაქტიკული კვლევისა და სათანადო დასკვნების მომზადება. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება კომისიის წინაშე. ○ საბოლოოდ, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს პროცესში, ცხადი იყო, რომ მასწავლებლებმა იციან ის კომპეტენციები, რომლებიც უნდა მიიღონ თავიანთ საგანში (საგნებში) და სწავლებას შეუსაბამებენ კომპეტენციებს, სტუდენტების ინდივიდუალური კომპეტენციის დონეების გათვალისწინებით. სტუდენტებს მხარს უჭერენ ამაში, რათა მათი სწავლა იყოს თვითგანმსაზღვრელი და პასუხისმგებელი მათი სწავლის შედეგებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები; ○ თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ხელს შეუწყობს კვლევის მეთოდების გაძლიერებას. ამგვარად, გონივრული იქნებოდა პროგრამაზე ადრიახად ისწავლებოდა კვლევითი მეთოდების კურსი, რათა სტუდენტები სათანადოდ მომზადებულნი იყვნენ, არა მარტო თავიანთი სამაგისტრო

ნაშრომის დასაწერად, არამედ შეძლონ რეფერატებისა და დავალებების დაწერა სამეცნიერო ენით, რადგანაც მათ ადრეულ ეტაპზე ეცოდინებათ კვლევის ჩატარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ☐ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ☐
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ მათი მიზანი, სწავლის შედეგები და სწავლების მეთოდები შეესაბამებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ძირითადი სასწავლო კურსები ერთმანეთისგან არის წარმოშობილი. ისინი შეესაბამება შინაარსს და აქცენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარებაზე. ზოგადი განათლების საწყისი საფეხურისთვის ინტეგრირებული საბაკალავრიატო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის სწავლების სწავლის შედეგების განსაზღვრა ხდება დარგობრივი მახასიათებლების მეშვეობით, ხოლო სასწავლო კურსებისა- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მეშვეობით. უფრო მეტიც, სასწავლო და პრაქტიკის

მასალები, როგორც წესი, თვითგანმარტებითი, დიფერენცირებულია და თვითკონტროლის საშუალებას იძლევა.

კურსის სილაბუსი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის სახელწოდება, კურსის სახეობა, იმ კრედიტების რაოდენობა, რომლებიც შეესაბამებიან სწავლების საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, კურსის ხელმძღვანელობას, კურსის მიზანს, კურსის ფორმატს, სწავლის შედეგებს (რაც, თავის მხრივ, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს), შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლების/სწავლის მეთოდები, კურსის შინაარსი, სემინარები და სხვა რესურსები. ამას გარდა, სავარჯიშოების დრო შეესაბამება დავალებებს, ხოლო საკონსულტაციო სესიები ტარდება პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის, გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე. სწავლის შედეგები და უკვე მიღწეული შედეგების ანალიზები გამოიყენება სასწავლო პროცესის შემდგომ დახვეწაში.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2, 3 და 5 კრედიტს, რომელთა განაწილებაც ხდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით. საკონტაქტო საათები განაწილებულია ლოგიკურ საფუძველზე, ზოგიერთ შემთხვევაში გამოყოფილია 32 საათი და ზოგიერთ შემთხვევაში 60 საათი. იმ კურსებს, რომლებიც საჭიროებდნენ უფრო მეტ საკონტაქტო საათებს (მაგალითად, განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლების კოდექსი, პედაგოგიკა 1 და პედაგოგიკა 2 და ა.შ.) გამოეყო მეტი საკონტაქტო საათები, ხოლო სასწავლო კურსებზე, რომლებსაც სჭირდებოდა მეტი დამოუკიდებელი მუშაობა კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მისაღწევად ნაკლები საკონტაქტო საათი გამოეყო.

პროგრამის დანერგვისათვის გამოიყენება ძირითადი და გამოყენებითი სახელმძღვანელოებისა და მეთოდოლოგიური ლიტერატურის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები და უკანასკნელი კვლევების შედეგები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სილაბუსში მითითებული ლიტერატურაც ასევე მოიპოვება ბიბლიოთეკაში. საკლასო ოთახში, სტუდენტების შემოქმედებითი აზროვნების პროცესი სტიმულირებულია და გამოიყენება და განიხილება სხვადასხვა მიდგომები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ასევე, კარგი იქნებოდა, თუ სემინარები და ლექციები ცხრილით გათვალისწინებული იქნებოდა სილაბუსში სასწავლო კვირის განმავლობაში, და იქნებოდა ჭეშმარიტად, უფრო მეტად სტუდენტზე ორიენტირებული.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ☐ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ☐
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "300-კრედიტიანი დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა", სწავლების მე-6-10 სემესტრში სტუდენტები შეისწავლიან აკადემიურ დისციპლინებს - "პედაგოგის პროფესიული ეთიკა და პედაგოგიური პრაქტიკა", ასევე ჩაერთვებიან პედაგოგიურ პრაქტიკაში, რომელიც შედგენილია 4 სემესტრით. 30 ECTS კრედიტი გამოყოფილი სკოლის პედაგოგიური პრაქტიკისათვის შემდეგნაირად გადანაწილდა: სავალდებულო: 5 ECTS კრედიტი - მათემატიკა, 5 ECTS კრედიტი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, 10 ECTS კრედიტი - ქართული ენა და ლიტერატურა. სავალდებულო - არჩევითი: 10 ECTS კრედიტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს არჩევით შეუძლია გაიღრმავოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების მისთვის ყველაზე აუცილებელი მიმართულებით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის შერჩევის პროცესს, მეთოდოლოგიის შემუშავებას და აღსრულებას, რომელსაც ეძლევა 30 ECTS პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად. პროგრამებში ჩართული პერსონალი შეიმუშავებს სამაგისტრო ნაშრომის შესაძლო თემების ჩამონათვალს.

სამეცნიერო-კვლევითი / შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბება ასევე ჩატარდება სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციების, საგრანტო პროექტების მონაწილეობით.

სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, Facebook- ის საკუთარ გვერდს, სადაც სისტემურად ქვეყნდება ყველა ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების შესახებ. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, განხორციელებულია, როგორც პრაქტიკაში, ისე ლექციურ კურსებზე, რომელზეც სტუდენტს მოეთხოვება გაკვეთილის ჩატარება მიკრო-სწავლების პრაქტიკის ფორმით. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და ვადასტურებთ ინფორმაციის სანდოობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა);
- o სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;
- o 300 კრედიტიანი საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამა დაწყებითი კლასების პედაგოგთა მომზადებისათვის;
- o შემოთავაზებული სამაგისტრო ნაშრომის თემების ჩამონათვალი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პედაგოგიური პრაქტიკის გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით, შემფასებელი გუნდი მიიჩნევს, რომ სასურველია, პროგრამის პირველ სემესტრში მომხსენებლებად დირექტორების / პედაგოგების მოწვევა.
2. უნივერსიტეტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს პედაგოგის ეფექტური პრინციპები, რომელთა საფუძველზეც სასწავლებლებმა (სასურველია) აირჩიონ წამყვანი პედაგოგი პრაქტიკის კომპონენტისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მონიტორინგის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" თანახმად, აკადემიურ კურსში აღწერილი სასწავლო მეთოდები შეესაბამება სწავლების დონეს, კერძოდ, პროგრამის კურსის სწავლის შედეგები 6-ე სემესტრის განმავლობაში მითითებულია უმაღლესი განათლების პირველი დონისთვის, და 7-10-ე სემესტრის სწავლის შედეგები გამოითვლება უმაღლესი განათლების მეორე დონისთვის და საჭიროებს მაღალი აზროვნების უნარ-ჩვევებს. პროგრამას დაასრულებს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც, სხვა საგნებთან ერთად უზრუნველყოფს სამაგისტრო დონის სწავლის შედეგების მიღწევას.

კვლევის შედეგად გამოვლენილი სურათის გათვალისწინებით, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მომზადების 300-კრედიტის საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას. დოკუმენტებისა და ინტერვიუების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის ხელმძღვანელისა და პერსონალის გამოცდილება პროგრამის სტრუქტურის შექმნისა და განხორციელების პროცესში პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. ამასთანავე, პროგრამის ძირითადი პრინციპი ფოკუსირებულია სტუდენტების მრავალფეროვნებაზე და შესაბამისად, ის ქმნის ხელსაყრელ პირობებს ყველა სტუდენტის თანაბარი და აქტიური მონაწილეობისთვის ყველა პროგრამაში.

o

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o მასწავლების სწავლების ინტეგრირებული საგანმანათლებლო საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა „დაწყებითი განათლება“
- o სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;
- o პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ☐ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ☐
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მონიტორინგის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, სწავლის შედეგების მიღწევის დონე სტუდენტის მიერ შეფასდება შეფასების სისტემის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის 3 ბრძანებით "უმაღლესი განათლების პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ".

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების შემდეგ ფორმებს: შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და საბოლოო გამოცდა, რომლის შედეგიც არის საბოლოო ნიშანი (100 ქულა). შუალედური და საბოლოო შეფასებები (შეფასების ფორმები) შეიცავს შეფასების კომპონენტს / კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ სტუდენტის ცოდნის ან / და უნარ-ჩვევების ან / და კომპეტენციების შეფასების ინსტრუმენტებს (ზეპირი / წერიტი გამოცდა, ზეპირი / წერიტი ტესტი, საშინაო დავალება, პრაქტიკული / თეორიული მუშაობა და ა.შ.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესსე, დემონსტრაცია, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული / თეორიული დავალების შესრულება, ჯგუფებში მუშაობა, დისკუსიებში მონაწილეობა და ა.შ.). შეფასების მეთოდი / მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, სხვა სიტყვებით, შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის დონეს. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს აქვს თავისი წილი საბოლოო ნიშანში (100 ქულა), რაც აისახება სილაბუსში და აკადემიური სემესტრის დასაწყისში სტუდენტს ეცნობება/ინფორმაცია მიეწოდება.

